პროექტი

# საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 352 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

მუხლი 352. სახალხო დამცველზე ან მისი სპეციალური რწმუნებით აღჭურვილ პირზე ზემოქმედება

1. სახალხო დამცველზე ან მისი სპეციალური რწმუნებით აღჭურვილ პირზე ზემოქმედება ნებისმიერი ფორმით, მისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის ხელის შეშლის მიზნით
ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების შეზღუდვით ვადით ორ წლამდე.
2. იგივე ქმედება, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

საქართველოს პრეზიდენტი — მიხეილ სააკაშვილი